შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

წლის კატალოგი

ანონსი

გალერეა



შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

შპს ბათუმის პროფესიული აკადემიის დაარსების ისტორია

წლის 4 ოქტომბერს ქალაქ ბათუმში დაარსდა შპს ცოდნის აკადემიისა, ხოლო ქ. ბათუმში 2023 წლის პასუხისმგებლობის საზოგადოებების დამფუძნებლებმა საინიციატივო ჯგუფთან ერთად თავიანთი წესდებების საფუძველზე მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაარსების შესახებ. საინიციატივო ჯგუფს დაევალა შეესწავლა აჭარის რეგიონსა და ქვეყნის მასშტაბით პროფესიული განათლების სისტემის განვითარების პერსპექტივები, სახელმწიფოს პოლიტიკა პროფესიული განათლების მიმართ და გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების პროექტზე მუშაობა. საინიციატივო ჯგუფმა განიხილა და შეისწავლა აჭარის რეგიონსა და ქვეყნის მასშტაბით პროფესიული განათლების სისტემის განვითარების პერსპექტივები, სახელმწიფოს პოლიტიკა პროფესიული განათლების მიმართ, საქსტატის მონაცემები, რეგიონისა და მომიჯნავე რეგიონების პროფესიული განათლების სტატისტიკური მონაცემები, შრომის ბაზრზე არსებული მოთხოვნები. საბოლოოდ 2026 წლის 25 თებერვალს დააარსდა შპს ბათუმის პროფესიული აკადემია საგანმანათლებლო პროგრამებს და ასევე პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.

აცნობიერებს რა პასუხისმგებლობას აჭარის რეგიონის, ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, აკადემიამ მიზნად დაისახა:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და უწყვეტი განვითარება;

ბ) რეგიონალური და ეროვნული ბაზრებისათვის სტუდენტთა პროფესიული მომზადების უზრუნველყოფა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით და მათი მხარდაჭერა;

გ) პოტენციური დამსაქმებლების მიზნებისა და გამოცდილების გათვალისწინება და საგანმანათლებლო პროცესში მათი შეხედულებების ჩართვა;

დ) აკადემიის მართვასა და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა;

ე) პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა;

ვ)პროფესიული სტუდენტებისათვის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების შემუშავება და მხარდაჭერა;

ზ) ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

თ) პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა;
ი) აკადემიის აღიარება პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში.

აკადემიას პრიორიტეტად მიაჩნია: პროფესიული განათლების შეთავაზება და სწავლა/სწავლების კომპონენეტების განვითარება შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების მიმართულებით; აჭარის რეგიონსა და ქვეყნის მასშტაბით დასაქმების შრომის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციისათვის ხელშეწყობა.

აკადემიის ადგილმდებარეობამ, რეგიონის მზარდმა ეკონომიკამ და მოსახლეობამ განსაზღვრა აკადემიის საქმიანობის სფერო და მიმართულებები.

აჭარის რეგიონის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესწავლისას (რეგიონის დარგობრივი ფაქტორული ანალიზი SWOT ანალიზი) გამოიკვეთა რეგიონის პრობლემა - მაღალკვალიფიციური ფარმაცევტების დეფიციტი.
შესაბამისად აკადემიამ გადაწყვიტა მაღალ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ფარმაცია რეგიონში ხარისხიანი მომსახურების გაწევას სააფთიაქო საქმიანობაში.

საქართველოს მასშტაბით კვალიფიციურ ფარმაცევტებზეც დიდი მოთხოვნაა. აჭარაში მოთხოვნადი პროფესიის მიხედვით ფარმაცევტები პირველ ადგილს იკავებენ. აკადემიამ გადაწყვიტა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ და ნაწილობრივ დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნა მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი განათლება“ იმ პროგრამებს შორისაა, რომლზეც მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. ადრეულ ასაკში განათლება საფუძველს უყრის ბავშვის შემდგომ ზრდასა და განვითარების. ბავშვების ადრეულ განვითარებაში ჩადებული ინვესტიცია დადებითად აისახება არა მარტო ბავშვების ჯანმრთელობაზე, სწავლასა და დაცულობაზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობაზე.
საქართველოს სკოლამდელი განათლების სისტემაში ბავშვების ჩართულობის ეროვნული მაჩვენებელი (69,5%) მკვეთრად დაბალია ევროპულ მაჩვენებელთან (95%), ეს პროცენტი კიდევ უფრო დაბალია ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებში და სოციალურად დაუცველი და სოფლად მცხოვრები ოჯახების ბავშვებში. გარდა ამისა ჯგუფებში ბავშვების დიდი რაოდენობა, საგანმანათლებლო თუ გასართობი რესურსების სიმწირე, აღმზრდელების დაბალი კვალიფიკაცია უაღრესად უარყოფით გავლენას ახდენს სკოლამდელი განათლების ხარისხზე.
აკადემიას მიიჩნია, რომ „სკოლამდელი განათლების“ პროფესიული პროგრამა ერთერთი ყველაზე მოთხოვნადი და საჭირო პროგრამაა უახლოესი წლების განმავლობაში.

დიდი მოთხოვნაა პროფესიულ პროგრამაზე „საბაჟო საქმე“. პროგრამის პოპულარობასა და მოთხოვნას განაპირობებს შრომის ბაზარი. უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო (სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი), ისე კერძო სექტორში (საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადამზიდველი და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყობები და ტერმინალები). საჯარო სექტორში შეიძლება დასაქმდეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის ან საბაჟო გაფორმების საბაჟო ოფიცრად, ხოლო კერძო სექტორში - საბაჟო ბროკერად, საბაჟო დეკლარანტად, საბაჟო გაფორმების სპეციალისტად. ეს ფუნქციები შესაძლოა შერწყმულ იქნეს ლოგისტიკის სპეციალისტის, საბაჟო ტერმინალის მომსახურების განყოფილების სპეციალისტების ფუნქციებთან. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულებით.

შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

კვლავ დიდი მოთხოვნაა კვალიფიციურ ბუღალტრებზე საჯარო და კერძო სექტორში. აკადემიის მიზანი განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბუღალტრო აღრიცხვა“ პროგრამის პოპულარობამ და შრომის ბაზრის მოთხოვნამ განაპირობა. აკადემია მზადაა უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს და შრომის ბაზარს შესთავაზებს კვალიფიციურ ბუღალტერს, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის. ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

რეგიონში, და არამარტო რეგიონში თანდათანობით იზრდება მოთხოვნა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის სპეციალისტებზე შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების აქტუალობა განპირობებულია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის, კანონმდებლობასთან შესაბამისობის (მაგალითად, საქართველოს შრომის კოდექსი) და მდგრადი განვითარების მოთხოვნებით. დარგი მიზნად ისახავს უბედური შემთხვევების პრევენციას, რისკების შეფასებას და ეკოლოგიური კვალის შემცირებას საწარმოო პროცესებში. ამ მიმართულების სიღრმისეული შესწავლა და დანერგვა უზრუნველყოფს ჯანსაღი და ღირსეული სამუშაო პირობების შექმნას.

ამ ეტაპზე აკადემიას ემსახურება 68 პერსონალი, მათ შორის 17 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი და 51 პროფესიული მასწავლებელი. აკადემია გეგმავს მოემსახუროს 310 პროფესიულ სტუდენტს და სთავაზობს მათ ხარისხიან პროფესიულ განათლებას, შრომის ბაზარზე დასაქმების ხელშეწყობას, მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრებით უზრუნველყოფას. აკადემიის პერსონალს ურავლესობას პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში მოღვაწეობის გამოცდილება აქვს. აკადემია მზადაა ხელი შეუწყოს პრიორიტეტად გამოცხადებული მიმართულებებით პრაქტიკულ საქმიანობებში სტუდენტების ჩართვას და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, გეგმავს გახდეს საიმედო და სასურველი პარტნიორი რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით.

აკადემიას გააჩნია თანამედროვე ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდით, პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი და ყველა ის სიკეთე, რაც აუცილებელია თანამედროვე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. აკადემიის მაღალკვალიფიციური პერსონალი და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტიან გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, ცოდნის გაღრმავებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას. აკადემიაში გაიზრდებიან დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგული ახალი თაობები და შეძლებენ თავიანთი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენასა და გამოყენებას.

შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ბუღალტრული აღრიცხვა



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - ბუღალტრული აღრიცხვა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში

პროგრამის მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიზანია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კვალიფიციური ბუღალტრის მომზადება, რომელიც შეძლებს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას მოქმედი კანონმდებლობისა და დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

კვალიფიკაციის დონე - მეხუთე დონე

დასაქმების შესაძლებლობები

ბუღალტერს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო უწყებებში, კერძო სექტორში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში შემდეგ პოზიციებზე: მთავარი ბუღალტერი, ბუღალტერი, ბუღალტრის თანაშემწე/ასისტენტი. ასევე შესაძლებელია თვითდასაქმება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

სწავლის შედეგები: კურსდამთავრებულს შეუძლია

- შეიმუშაოს ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკა;
- შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სააღრიცხვო დოკუმენტებს;
- განახორციელოს ბუღალტრული ოპერაციები;
- შეავსოს და წარადგინოს საგადასახადო დეკლარაციები;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება;
- აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით;
- განახორციელოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის ბუღალტრულ აღრიცხვაზე;
- აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა;
- განახორციელოს ეკონომიკური ანალიზი.

შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 88 კრედიტის მოცულობით და 3 ზოგად მოდულს ჯამური 9 კრედიტის მოცულობით.

ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 97 კრედიტის დაგროვება.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება - პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

კვალიფიკაციის მინიჭება - კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგები სასწავლო საწარმოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება - შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

საბაჟო საქმე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საბაჟო საქმე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში

პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა რომელიც საბაჟო სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრს. კერძოდ, პროგრამის მიზანია საბაჟო საქმის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს განახორციელოს საბაჟო საზღვრის კვეთასთან, საქონლის საბაჟო გაფორმებასთან, საბაჟო ზედამხედველობასთან, საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან, ასევე საბაჟო წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ამოცანები. პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - საბაჟო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო (სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი), ისე კერძო სექტორში (საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადამზიდველი და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყობები და ტერმინალები). საჯარო სექტორში ის შეიძლება დასაქმდეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის ან საბაჟო გაფორმების საბაჟო ოფიცრად, ხოლო კერძო სექტორში - საბაჟო ბროკერად, საბაჟო დეკლარანტად, საბაჟო გაფორმების სპეციალისტად. ეს ფუნქციები შესაძლოა შერწყმულ იქნეს ლოგისტიკის სპეციალისტის, საბაჟო ტერმინალის მომსახურების განყოფილების სპეციალისტების ფუნქციებთან. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულებით.

სტრუქტურა და მოდულები

კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **93 კრედიტი.** მოიცავს 3 ზოგადი მოდულს - ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს ჯამური

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობა;
- გააკონტროლოს ფიზიკური პირი;
- გააკონტროლოს სატრანსპორტო საშუალებები;
- განსაზღვროს საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საბაჟო ღირებულება;
- განსაზღვროს საბაჟო პროცედურა/რეექსპორტი და გაუკეთოს ადმინისტრირება საბაჟო გადასახდელებს;
- განახორციელოს საბაჟო დეკლარირება;
- განახორციელოს საბაჟო გაფორმება;
- განახორციელოს სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი;
- განახორციელოს არასატარიფო ღონისძიებები;
- განახორციელოს საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

კვალიფიკაციის მინიჭება - კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ)სტუდენტების სწავლება - შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სკოლამდელი განათლება

პროფესიული პროგრამის სახელწოდება: სკოლამდელი განათლება

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

პროფესიული პროგრამის მიზანი - სკოლამდელი განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკშიბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდასა და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები - პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა

ს

პ

ე

ც

ი

ა

ლ

ი

სწავლის შედეგები - „სკოლამდელი განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;
- ბავშვის განვითარების ხელსემწყობი სტრატეგიების გამოყენება;
- წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა ასეთმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში

პროგრამის მიზანი - პროგრამის მიზანია, კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს შეიმუშაოს სამუშაოს ნეგატიური ასპექტებისგან დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმს, შექმნის პირობებს ჯანსაღი და ღირსეული საქმიანობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოფს შრომის დაცვითი ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერი/სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს:

სხვადასხვა სფეროების: მშენებლობის, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, ნავთობისა და გაზის, ლოჯისტიკის, ტრანსპორტის, მძიმე მრეწველობის, სამთო მრეწველობის, საზღვაო პორტების, კომუნიკაციების, ტურიზმის, სარესტორნო, გასართობ, სავაჭრო, საგანმანათლებო დაწესებულებებში: უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორად/მენეჯერად; შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; დაბინძურების ინსპექტორად; ჯანსაღი სამუშაო გარემოს დაცვის ოფიცერად; შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მრჩეველად; გარემოს დაცვის მრჩეველად; შრომის ჰიგიენის სპეციალისტად/მენეჯერად; ნარჩენების შეგროვების სპეციალისტად; ნარჩენების დამუშავება-მოცილების სპეციალისტად; დაბინძურებისაგან გასუფთავება-ნარჩენების მართვის ინსპექტორად; უსაფრთხოების დაცვის სპაციალისტად/ მენეჯერად; შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სახელმწიფოს შრომის ინსპექტირების სამსახურებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად.

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ - პროგრამას მოიცავს 120 კრედიტს, ტექნოლოგიებში“ პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს **120** კრედიტი.

სწავლის შედეგები - კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეადგინოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოსდაცვითი გეგმა
- შეიმუშაოს და განაახლოს პროცედურები და ინსტრუქციები

- შეაფასოს პროფესიული დაზიანებები და აკონტროლოს რისკი
- შეაფასოს, გააკონტროლოს და განსაზღვროს ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების პრევენციული ზომები
- დაიცვას ელექტროუსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთოების წესები
- განახორციელოს ევაკუაციის პროცესები
- გაწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება
- გაატაროს საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებები
- აკონტროლოს სამუშაო ადგილზე ადამიანთა და სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოდ გადაადგილება
- შეაფასოს გარემოზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გავლენა
- განახორციელოს გარემოსდაცვითი სისტემის აუდიტი და მონიტორინგი
- დაგეგმოს უსაფრთხო სასმელი წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედება
- აკონტროლოს წყლის წყაროების დაბინძურება
- აკონტროლოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ჰაერში გაფრქვევის შემცირება.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება - პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

კვალიფიკაციის მინიჭება - კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება - შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ფარმაცია (სააფთიაქო)

შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - ფარმაცია (სააფთიაქო)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
პროგრამის მიზანი - პროფესიული საგანმანათლელო პროგრამის მიზანია, ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;
დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.
დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს - 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით, 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით და ერთ არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით. შესაბამისი მოდულების გავლით პირი ეუფლება ცოდნას და კვალიფიკაციისათვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 123 კრედიტი.
სწავლის შედეგები - კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად
- დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა
- შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა
- განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე
- ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი
- განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება–მარკირება
- მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები

- გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები
- განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ
- განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია
- განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ
- დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება - პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

კვალიფიკაციის მინიჭება - კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პირმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულ სტუდენტს კვალიფიკაციას ანიჭებს შპს ,,ბათუმის პროფესიული აკადემია''.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირმა სწავლება

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პირმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.